



**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
ეთიკის კომისიის N046/11¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა**

სტუდენტი მარიამ გაჩეჩილაძე

ფაქტები:

ადვოკატი ამხანაგობაში წევრობის სანაცვლოდ იცავდა ამხანაგობის ინტერესებს ადმინისტრაციულ ორგანოებში, სასამართლოსა და მესამე პირებთან, და აწარმოებდა იურიდიულ საქმიანობას. თუმცა მხარეებს შორის საადვოკატო ხელშეკრულება არ გაფორმებულა. ადვოკატმა წევრობის პერიოდში შეიძინა ამხანაგობის მომიჯნავე მიწის ნაკვეთი. მოხდა შეძენილი უძრავი ქონების ზედდება ამხანაგობის უძრავ ქონებასთან მიმართებით და მხარეებს შორის წარმოიშვა სამართლებრივი დავა. ადვოკატი თავად ახორციელებდა საჯარო რეესტრში წარმომადგენლობას უძრავ ნივთზე, თუმცა ამხანაგობამ წარმოება შეუჩერა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით, რის შემდგომაც ადვოკატმა გააუქმა ნასყიდობის ხელშეკრულება.

პროფესიული ისტორია:

საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებით, ადვოკატის მიმართ აღიძრა დისციპლინური დევნა ინტერესთა შეუთავსებლობისა და ინტერესების პრიორიტეტულობის საფუძველით.

სამართლებრივი შეფასება:

შეიძლება დარღვეულად ჩაითვალოს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლი ნდობის პრინციპის თაობაზე, მე-4 მუხლი კონფიდენციალობის დაცვის შესახებ, მე-5 მუხლი კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის დაცვისა და მე-6 მუხლი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.

ადვოკატი გახლდათ ამხანაგობის წევრი და ამასთანავე ახორციელებდა საადვოკატო მომსახურებას, იცავდა ამხანაგობის ინტერესებს. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატის შენატანს ამხანაგობაში წარმომადგენელად იურიდიული მომსახურების გაწევა, რაც თავის მხრივ გულისხმობს, რომ ადვოკატს თავისი პროფესიული მოვალეობის განხორციელებით უნდა უზრუნველყო ამხანაგობის წინაშე აღებული ვალდებულებების, წარმომადგენლობის განხორციელება. საადვოკატო საქმიანობას საქართველოში ახორციელებს ადვოკატი და იგი ვალდებულია პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, იმოქმედოს კანონის, პროფესიული ეთიკის კოდექსის ფარგლებში და ვალდებულია შეასრულოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ნორმები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 1.1). განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თავად პროფესიული საქმიანობის განხორციელების ვალდებულებას და არა აქვს მნიშვნელობა ადვოკატმა საადვოკატო მომსახურება განახორციელა ამხანაგობაში შენატანის სახით, თუ ფულადი საზღაურის სანაცვლოდ ემსახურებოდა მას. ადვოკატი, საადვოკატო მომსახურების დროს წარმომადგენს პირს, რომელიც ასრულებს პროფესიულ ვალდებულებას, ასევე არა აქვს მნიშვნელობა საკუთარი ოჯახის წევრს უწევს მომსახურებას, თუ ამხანაგობას, ყველა მათგანი მის კლიენტებს წარმომადგენენ და შესაბამისად, ადვოკატმა უნდა იმოქმედოს პროფესიული ვალდებულებების და კანონის ფარგლებში.

საადვოკატო მომსახურების გაწევის ფარგლებში, ადვოკატს ევალებოდა დაეცვა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი დამოუკიდებლობის პრინციპი, რომლის დროსაც ადვოკატი დამოუკიდებელია ყოველგვარი გარეშე გავლენისგან ან სხვა ზეწოლისაგან, მათ შორის

¹ <https://www.gba.ge/pdf/5c4c4f6a3b30e.pdf/5c4c4f6a3b30e.pdf>



თავიანთი პირადი ინტერესებისგან. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა უნდა იყოს კლიენტზე ორიენტირებული და ინტერესთა კონფლიქტი ადვოკატის პირად ინტერესებსა და კლიენტის ინტერესებს შორის უნდა გადაწყდეს კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით.

უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისას ადვოკატის პირადი ინტერესები დაუპირისპირდა ამხანაგობის ინტერესებს, რადგან ადვოკატი გახდა სადავო მიწის ნაკვეთის ნაწილის მესაკუთრე. ადვოკატმა დააყენა რისკის ქვეშ კლიენტის ინტერესების დაცვა და არჩევანი პირად ინტერესებსა და ამხანაგობის ინტერესებს შორის, საკუთარი ინტერესების პრიორიტეტულობაზე გააკეთა. ჯერ კიდევ წარმომადგენლობის განხორციელების პროცესში ადვოკატმა საფრთხე შეუქმნა კლიენტის ინტერესების დაცვას.

დასკვნა:

ადვოკატმა დაარღვია ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი. ადვოკატის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვრა გაფრთხილება.